



16 მარტს სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებმა და აკადემიურმა პერსონალმა მონაწილეობა მიიღო აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის მიერ ორგანიზებულ ღონისძიებაში, რომელიც საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის დაღუპულთა მემორიალთან გაიმართა.

შეკრებილთ კიდევ ერთხელ გაიხსენეს ოკუპანტების წინააღმდეგ მამაცურად მებრძოლი, საქართველოს მთლიანობისთვის დაღუპული ქართველი გმირები.

1993 წლის 15 და 16 მარტს ქართველმა მეომრებმა ადგილობრივ მოსახლეობასთან ერთად, სოხუმზე სეპარატისტთა და დაქირავებულთა განხორციელებული ერთ-ერთი ყველაზე მასშტაბური შეტევა წარმატებით მოიგერიეს. ღონისძიება სოხუმის გმირული დაცვის მე-17-ე წლისთავს მიეძღვნა.